

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიჟი“



კ ა ტ ა ლ მ ო გ ი

2023 წელი

საკონტაქტო ინფორმაცია:

თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ.N1

ვებ-გვერდი: www.vetprestige.ge

Facebook-გვერდი: <https://www.facebook.com/prestige.ge/>

დირექტორი:

კონსტანტინე დოლიძე

მობ: +995 577 177 979

+995 577 504 999

Email:



telavi.prestige@gmail.com

kotedolidze@gmail.com

კოლეჯის ისტორია

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიუზი“ თელავის „დავით ციციშვილის სახელობის ხალხური რეწვის პროფესიული ლიცეუმის“, თელავის „სასოფლო-სამეურნეო პროფესიული სასწავლებლის“ და თელავის „ტექნიკური კოლეჯის“ საგანმანათლებლო ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელია, რომელიც აღნიშნული სასწავლებლების ბაზაზე დაფუძნდა 2007 წელს თელავის პროფესიულ კოლეჯად, 2011 წლიდან პროფესიული კოლეჯი ჩამოყალიბდა სსიპ პროფესიულ კოლეჯად - „პრესტიუზი“, 2012 წლიდან ატარებდა ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის „პრესტიუზი“ სტატუსს, ხოლო 2019 წლიდან - ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიუზი“ სახელს.

კოლეჯი წარმოადგენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. იგი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში, ხელმძღვანელობს: საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით, საქართველოს კანონებით „პროფესიული განათლების შესახებ“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის“, სხვა ნორმატიული აქტებით და საკუთარი წესდებით.

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიუზი“, თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ კონკურენტუნარიანია კახეთში და მას აქვს განვითარების დიდი პოტენციალი. აღნიშნული უპირატესობა გადამწყვეტია კოლეჯის შემდომი განვითარებისთვის. კოლეჯი თანამშრომლობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და შემდეგ დაწესებულებებთან: „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, „სასწავლო გეგმებისა და შეფასების ეროვნული ცენტრი“, საგანმანათლებლო ინსტიტუტები, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია“ და სხვა სოციალურ პარტნიორებთან.

ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიუზი“ ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის სწავლების პირობების შექმნაზე. ხელს უწყობს თანამედროვე ცოდნისა და მეთოდების გავრცელებას, განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, საერთაშორისო თანამშრომლობას და უცხოეთის შესაბამისი საგანმანათლებლო პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელ-ინსტრუქტორთა ურთიერთგაცვლას, პროფესიული განათლების სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

კოლეჯი, ძირითადად, ორიენტირებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაზე, პიროვნების პროფესიულ განვითარებასა და „მთელი სიცოცხლის მანძილზე“ განათლების მიღების



ხელშეწყობაზე. შესაბამისად, კოლეჯი უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

კოლეჯი ჩართულია „CISCO“ ქსელური აკადემიის ელექტრონული და დისტანციური სწავლების სისტემაში.

მისია

ა(ა)იპ კოლეჯის „პრესტიუზი“ მისიაა უზრუნველყოს მრავალპროფილური, პროფესიული განათლებით, სოციალური ინკლუზიით, გენდერული თანასწორობით, ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებით, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობით, ევროპულ-დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრების მომზადება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ბაზრისთვის.

ხედვა

ა(ა)იპ კოლეჯის ”პრესტიუზი“ ხედვაა, 2019 - 2025 წლებში გახდეს რეგიონში წარმატებული პროფესიული სასწავლებელი, მრავალპროფილური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით, ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზარზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადებით, დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, პროფესიონალი პედაგოგებით, გამართული ინფრასტრუქტურით, საჭირო ინვენტარით აღჭურვილი, დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროებითა და ბიზნესის სექტორთან მრავალფეროვანი პარტნიორული ურთიერთობებით.

ღირებულებები

- ✓ გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა;
- ✓ სწავლების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გენდერული თანასწორობა;
- ✓ სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტაცია;
- ✓ მუდმივი სწრაფვა ინოვაციისა და სრულყოფილებისაკენ



მიზნები

- ✓ განახორციელოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ✓ დაგეგმოს და განახორციელოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამები;
- ✓ იზრუნოს ინკლუზიური სასწავლო გარემოს გაუმჯობესება-განვითარებასა და გენდერულ თანასწორობაზე;
- ✓ გააძლიეროს ბაზრის საჭიროებების კვლევის კომპონენტი, ბაზრის რეალური საჭიროებების დადგენის მიზნით;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში ხელი შეუწყოს დამსაქმებელთა მონაწილეობას, მაქსიმალურად გაითვალისწინოს დაინტერესებულ მხარეთა საჭიროებები და ინტერესები;
- ✓ იზრუნოს პედაგოგიური პერსონალის პროფესიულ ზრდასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე;
- ✓ იზრუნოს გენდერული თანასწორობის და ზოგადად, გენდერის შესახებ როგორც ახალგაზრდების, ასევე პედაგოგების ცოდნა და კომპეტენციების გაზრდაზე;
- ✓ გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მეთოდები, შექმნას შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და იზრუნოს მუდმივი განახლებისათვის სტანდარტების შესაბამისად;
- ✓ ხელი შეუწყოს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელის აქტიურ დანერგვას სხვადახვა მიმართულებით.



**ა(ა)იპ კოლეჯი „პრესტიუი“ ახორციელებს შემდეგ
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს :**


N	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	განხორციელების ფორმა	დონე
1	<u>ინფორმაციის ტექსოლოგიის მხარდაჭერა</u>	მოდულური	3
2	<u>საოფისე საქმე</u>	მოდულური	4
3	<u>სასტუმრო მომსახურება</u>	მოდულური	4
4	<u>კულინარიის ხელოვნება</u>	მოდულური	3
5	<u>კონდიტერია</u>	მოდულური	3
6	<u>მევენახეობა-მეღვინეობა</u>	დუალური	5
7	<u>კომპიუტერული ქსელი და სისტემები</u>	მოდულური	4
		ინტეგრირებული	4
8	<u>ელექტროობა</u>	მოდულური	3
9	<u>თმის მომსახურება</u>	მოდულური	3
10	<u>სატყეო საქმე</u>	მოდულური	4
11	<u>მხატვრული ქსოვა</u>	მოდულური	3

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღება

პროგრამაზე ჩარიცხვის ეტაპები

პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
- ბ) აპლიკანტთა შერჩევა;
- გ) აპლიკანტთა შეფასება;
- დ) რეიტინგული სიის შედგენა,
შედეგების გამოცხადება,
პროგრამაზე ჩარიცხვა და
პროფესიული სტუდენტის
სტატუსის მინიჭება;
- ე) დარჩენილი თავისუფალი
ადგილების შევსება (არსებობის
შემთხვევაში).



აპლიკანტთა რეგისტრაცია

- პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, პირი გადის ავტორიზაციას სარეგისტრაციო სისტემაში (vet.emis.ge) და რეგისტრირდება აპლიკანტად.
- აპლიკანტთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის ბრძანებით დადგენილ ვადაში.
- რეგისტრაციისას აპლიკანტი უფლებამოსილია აირჩიოს არაუმეტეს 3 სასურველი პროგრამა.
- რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველი.
- რეგისტრაცია დასტურდება აპლიკანტის ელექტრონულ ფოსტაზე რეგისტრაციის ფურცლისა და მობილური ტელეფონის ნომერზე უნიკალური კოდის გაგზავნით. შევსებული მონაცემები მისთვის ხელმისაწვდომია ინდივიდუალური ანგარიშის მეშვეობით.
- აპლიკანტს არჩევანის შეცვლა შეუძლია რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში.
- უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა გაითვალისწინოს, რომ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა იტოვებს შესაძლებლობას ტესტირების მიზნით, აპლიკანტი გადაანაწილოს სხვა საგამოცდო ადგილას - სხვა ქალაქში/მუნიციპალიტეტში.

აპლიკანტთა შერჩევა

- აპლიკანტთა შერჩევა გულისხმობს პროგრამაზე ჩარიცხვისა და სწავლის გაგრძელების მიზნით აპლიკანტთა შეფასებას, გარდა უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, სადაც ჩარიცხვისთვის აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება მხოლოდ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) მიერ ორგანიზებული ტესტირების საფუძველზე, რომლის ჩატარების თარიღი განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით.
- აპლიკანტთა შერჩევის შედეგების საფუძველზე გამოვლინდებიან ის აპლიკანტები, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.
- აპლიკანტთა შერჩევის პერიოდი, ტესტირებისა და სწავლის დაწყების თარიღი განისაზღვრება მინისტრის შესაბამისი ბრძანებ(ებ)ით.
- აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება ქართულ ენაზე, გარდა უცხოენოვან აპლიკანტთა შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევისა. იმ შემთხვევაში თუ აპლიკანტი არის უცხოენოვანი მასთან შერჩევა ხორციელდება იმ ენაზე (თარჯიმანის დახმარებით), რა ენაც მან რეგისტრაციის დროს მიუთითა.
- საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესითა და პირობებით უზრუნველყოფს აპლიკანტის შერჩევას განსხვავებულ თარიღებში.

შერჩევა საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

- საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წინამდებარე წესით.
- თითოეულ საბაზო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
- მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კოლეჯი სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
- სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.

- საბაზო პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
 - ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
 - ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
- თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
- თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

შერჩევა ინტეგრირებულ პროგრამებზე

- აპლიკანტთა შერჩევა ინტეგრირებულ პროგრამაზე ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წინამდებარე წესით.
- თითოეულ ინტეგრირებულ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
- მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კოლეჯი სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
- სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
- თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
- ინტეგრირებულ პროგრამაზე რეიტინგული სია დგება მხოლოდ იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური.
- თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

შერჩევა საშუალო პროფესიულ პროგრამებზე

- აპლიკანტთა შერჩევა საშუალო პროფესიულ პროგრამაზე ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წინამდებარე წესით.
- თითოეულ საშუალო პროფესიულ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
- მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კოლეჯი სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
- სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა, რეიტინგულ სიას ადგენს, აპლიკანტის შეფასების შედეგების, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირის სტატუსისა და განათლების მიღწეული დონის გათვალისწინებით, რომელიც მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
- თუ აპლიკანტი არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში საარსებო შემწეობის მიმღები პირი, მისი რეიტინგული ქულა განისაზღვრება შეფასების შედეგად მიღებული ქულის 1.1. კოეფიციენტზე გამრავლებით.
- საშუალო პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:
 - ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
 - ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლების საფუძველზე მიღებული პროფესიული ან სრულ ზოგად განათლებასთან გათანაბრებული პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
- თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
- თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

შერჩევა დუალურ პროფესიულ პროგრამებზე

- აპლიკანტთა შერჩევა დუალურ პროგრამაზე ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წინამდებარე წესით.

- თითოეულ დუალურ პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის მიზნით შეფასების თარიღი/თარიღები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნული ინფორმაცია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ასევე, განათავსდება კოლეჯის ოფიციალურ ვებგვერდზე, შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღით ადრე.
- მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში კოლეჯი სარეგისტრაციო სისტემაში ასახავს აპლიკანტთა შეფასების შედეგებს.
- აპლიკანტის შეფასების შედეგი წარმოადგენს რეიტინგულ ქულას.
- კოლეჯი რეიტინგულ სის ადგენს აპლიკანტების შეფასების შედეგების გათვალისწინებით, ამტკიცებს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და ინფორმაციას ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში.
- თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.

აპლიკანტთა შეფასება

- აპლიკანტების შეფასება განხორციელდება საკონკურსო კომისიის მიერ წინასწარ დამტკიცებული ფორმებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
- შეფასება არის დიფერენცირებული და ითვალისწინებს:
 - ✓ ზეპირ მოტივაციურ გასაუბრებას
 - ✓ შემოქმედებით ტურს
- შემოქმედებითი ტურით განხორციელდება ხელოვნების მიმართულების პროგრამებზე დარეგისტრირებული აპლიკანტების შეფასება.

რეიტინგული სიის შედგენა, პროგრამაზე ჩარიცხვა და პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება

1. კოლეჯში აპლიკანტების ჩარიცხვა ხორციელდება პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე.
2. საბაზო პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
 - ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
 - ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
3. საშუალო და უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის:

- ა) 70%-ის ფარგლებში, აპლიკანტთა ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა სრული ზოგადი განათლება;
- ბ) პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობის 30%-ის ფარგლებში, რეიტინგული სია დგება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა პროფესიული ან/და უმაღლესი განათლება.
4. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩაირიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
5. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
- ა) პირველი პუნქტით დადგენილი წესის საფუძველზე კოლეჯის მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
- ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
- გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
6. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
7. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, კოლეჯის შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარეულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.
8. თუ მე-7 პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.
9. პროგრამაზე აპლიკანტის ჩარიცხვა განხორციელდება რეიტინგული სიის შედგენისა და აპელაციის ვადის გასვლის შემდგომ.
10. კოლეჯში ჩარიცხვამდე და ხელშეკრულების გაფორმებამდე აპლიკანტმა ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლიმა/კანონიერმა წარმოადგენლმა უნდა წარადგინოს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია დოკუმენტაციის წარდგენის ვადებისა და სხვა პირობების შესაბამისად.
11. აპლიკანტი ვალდებულია კოლეჯში ჩასარიცხად წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
- ა) აპლიკანტის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმოადგენლის წერილობითი განცხადება;
- ბ) აპლიკანტის ან არასრულწლოვანის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმოადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- გ) 2 ცალი ფოტოსურათი 3X4 -ზე;
- დ) საბაზო საფეხურის/სრული ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო საფეხურის ზოგადი განათლების ან/და სრული ზოგადი განათლების დამლევის გარეშე, თუ სრული ზოგადი

- განათლება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს;
- ე) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;
- ვ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. დაბადების მოწმობის ასლი);
- ზ) უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი.
12. კოლეჯი უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დაძლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში, დადასტურებულია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ.
13. კოლეჯში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს მატერიალური სახით კოლეჯის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, აპლიკანტი/მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ობიექტური მიზეზების გამო (ფორსმაჟორული სიტუაცია) ვერ ახერხებს ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის მატერიალური სახით წარდგენას.
14. ამ მუხლის მე-13 პუნქტის გათვალისწინებით დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული სახით კოლეჯის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაზე: telavi.prestige@gmail.com
15. კოლეჯი უზრუნველყოფს აპლიკანტების ჩარიცხვას პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტების რიგითობის გათვალისწინებით უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნებისა და წინამდებარე წესის მე-12 მუხლის გათვალისწინებით.
16. წინამდებარე წესის მე-12 მუხლის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში აპლიკანტი კარგავს პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას და მის ადგილს დაიკავებს რეიტინგულ სიაში რიგით შემდეგი აპლიკანტი.
17. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული რეიტინგული სიის შესაბამისად, აპლიკანტების მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე, წინამდებარე წესის მე-12 მუხლის გათვალისწინებით, კოლეჯი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭებას კოლეჯის დირექტორის ბრძანებით და აფორმებს მასთან ხელშეკრულებას.
18. კოლეჯი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას სსიპ- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
19. პირი, რომელიც ჩაირიცხება პროგრამაზე, სადაც ჩარიცხულთა რაოდენობა ხუთზე ნაკლებია უფლებამოსილია:
- ა) შეიჩროს სტუდენტის სტატუსი მომდევნო მიღებამდე და მომდევნო მიღებაზე, ამავე პროგრამაზე იმ რაოდენობის სტუდენტების ჩარიცხვის შემთხვევაში რომელიც საჭიროა რათა მიმდინარე და წინა წელს ერთად ჩარიცხულთა რაოდენობამ შეადგინოს 5 ან მეტი სტუდენტი, აღიდგინოს სტატუსი.
- ბ) ისარგებლოს გარე მობილობით იმ ალტერნატიულ დაწესებულებაში, რომელთანაც კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, ახორციელებს შესაბამის პროგრამას და ამ პროგრამაზე აქვს ვაკანტური ადგილები.
- დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).**

1. აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ, დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით კოლეჯი ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ, ასახავს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში.
2. აპლიკანტი, რომელიც ვერ ჩაირიცხა მის მიერ არჩეულ პროგრამაზე, უფლებამოსილია მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადაში აირჩიოს არაუმეტეს 3 პროგრამა.
3. შესავსები ადგილების რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, კოლეჯი იყენებს ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილ თავისუფალ ადგილებს.
4. დარჩენილ თავისუფალ ადგილებზე განხორციელდება ასევე იმ აპლიკანტების ჩარიცხვა ვინც შერჩევისას გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, განაცხადში მონიშნული ჰქონდა ერთზე მეტი პროგრამა, არ ეყო ქულები პირველად პროგრამაზე ჩასარიცხად და მეორე ან მესამე ადგილზე მონიშნული ჰქონდა ის პროგრამ(ებ)ა სადაც არ მოხდა ადგილების შევსება.
5. მე-2 და მე-4 პუნქტში მითითებული აპლიკანტებისათვის შესაძლოა ჩატარდეს დამატებითი შერჩევა, იმ შემთხვევაში როცა დარჩენილი (თავისუფალი) ადგილების რაოდენობა ნაკლები იქნება პროგრამაზე მეორადი ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტების რაოდენობაზე.
6. თავისუფალი ადგილების შევსების ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვა ხდება თავისუფალი ადგილებისა და აპლიკანტის რეიტინგული ქულის გათვალისწინებით.

სსმპ შერჩევა და ჩარიცხვა

1. თითოეული პროგრამის ფარგლებში, სსსმ პირებისათვის განსაზღვრულია კვოტა - ჯგუფის საერთო რაოდენობის მინიმუმ 15%.
2. აღნიშნული კვოტა აუცილებლობით არ მოქმედებს იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამები).
3. სსსმ პირების პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ალტერნატიული ტესტირების საშუალებით, რაც გულისხმობს აპლიკანტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პირობებში, მის მიერ დარეგისტრირებული პროფესიული პროგრამების პრაქტიკულ მოსინჯვას.
4. ალტერნატიული ტესტირებისას აპლიკანტს შესაძლებლობა ეძლევა პრაქტიკულად მოსინჯოს მის მიერ შერჩეულ და დარეგისტრირებულ პროგრამასთან დაკავშირებული რამდენიმე ტიპური აქტივობა და მიღებულ გამოცდილებაზე რეფლექსის შედეგად, გააკეთოს მისთვის საუკეთესო პროფესიული არჩევანი.
5. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისთვის გათვალისწინებულ ადგილების რაოდენობას ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სსსმ აპლიკანტს, რომელიც:
 - ა) პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს;
 - ბ) წარმოადგენს რომელიმე მოწყვლადი ჯგუფს (მაგ.: სოციალურად დაუცველი ოჯახიდან, მინდობით აღზრდაში მყოფი/მცირე საოჯახო ტიპის დაწესებულებიდან/სახელმწიფო

ზრუნვაში მყოფი ან სახელმწიფო ზრუნვიდან გასული);
გ) წარმოადგენს მრავალშვილიანი ოჯახის წევრს;
დ) არ არის ჩართული განათლების სხვა საფეხურზე (მაგ.: არ არის სკოლის მოსწავლე);
ე) წინა წელს ან წინა წლებში ვერ მოიპოვა პროფესიული სტუდენტის სტატუსი (ამავე დაწესებულებაში), იმ მიზეზით, რომ ვერ ჩაირიცხა პროგრამაზე სსსმ პირებისათვის განსაზღვრულია კვოტის ფარგლებში.

კოლეჯის მიერ ორგანიზებულ აპლიკანტთა შერჩევაში მონაწილე აპლიკანტის და კოლეჯის უფლება - მოვალეობები

1. შერჩევის ჩატარების მიზნით აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს კოლეჯში შერჩევის რეგისტრაციაზე და თან იქონიოს საგამოცდო ბარათი და პირადობის მოწმობა.
2. აპლიკანტმა შერჩევაზე გასვლის მიზნით უნდა გაიაროს რეგისტრაცია. რეგისტრაციისას აპლიკანტი წარადგენს: პირადობის (ბინადრობის) მოწმობას/პასპორტს, ხოლო ასეთის არქონის შემთხვევაში – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მიერ სათანადო წესით დამოწმებულ განაცხადს/განცხადება-ანკეტას, რომელშიც მოცემულია პირის ფოტოსურათი, სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი. ასევე, აპლიკანტი წარადგენს სარეგისტრაციო სისტემიდან ამობეჭდილ საგამოცდო ბარათს.
3. შერჩევის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აპლიკანტი შერჩევაზე არ დაიშვება.
4. შერჩევაზე გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება **30** და მეტი წუთით აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს დამატებითი შერჩევის ჩატარება, მიუხედავად იმისა, გამოუცხადებლობა ან/და დაგვიანება გამოწვეულია საპატიო მიზეზით თუ არა.
5. შერჩევის დროს აპლიკანტს უფლება აქვს თან იქონიოს:
 - ა) წყალი;
 - ბ) პირადი ჰიგიენის საგნები;
 - გ) საჭიროების შემთხვევაში სხვა ნივთები (მაგ. სუნთქვის აეროზოლი, მედიკამენტები და სხვა) საკონკურსო კომისიის თანხმობით.
6. შერჩევის დროს აპლიკანტს ეკრძალება:
 - ა) მობილური ტელეფონის ან სხვა ელექტრონული აპარატურის ქონა;
 - ბ) დამხმარე მასალის – სახელმძღვანელოების, ჩანაწერების და სხვათა გამოყენება, გარდა კოლეჯის მიერ შეთავაზებული ნივთებისა;
 - გ) გადალაპარაკება, დახმარების გაწევა ან მიღება რაიმე ფორმით, სხვა აპლიკანტისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
 - დ) შერჩევის ადგილის უნებართვოდ დატოვება.
- ე) შერჩევის ადგილის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ საკონკურსო კომისიასთან შეთანხმებით, თანმხლებ პირთან ერთად.
7. კოლეჯი უზრუნველყოფს შერჩევის მიმდინარეობაზე დაკვირვებას ვიდესათვალთვალო სისტემის მეშვეობით.
8. შერჩევის დროს პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული დარღვევის შემთხვევაში აპლიკანტი მიიღებს გაფრთხილებას, ხოლო დარღვევის განმეორების შემთხვევაში დატოვებს შერჩევის ადგილს და არ მიეცემა საბოლოო შეფასების ქულა.

**სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების
ინტეგრირებისა და ინკლუზიური
სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები**



✓ კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

საჭიროების შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა საგანმანათლებლო მხარდაჭერისა და სასწავლო პროცესში მათი

სრულყოფილი ინტეგრირების მიზნით კოლეჯი უზრუნველყოფს საჭირო ადამიანური რესურსის (ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი) მოძიებას და საგანმანათლებლო პროცესში ჩართვას;

✓ სპეციალური საგანმანათლებლო
საჭიროების მქონე პროფესიულ
სტუდენტთათვის კოლეჯი
უზრუნველყოფს სასწავლებლის
ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას
შესაბამისი ინფრასტრუქტურის
მოწყობის გზით.



✓ საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას და მისი დაკმაყოფილების გზებს.



პროფესიული სტუდენტისათვის კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას, უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:
ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარაჭერა
(განხორციელების ფორმა - მოდულური)

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში / Basic Vocational Qualification in Information Technology Support

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება - კოდი 0612. „შეისწავლის პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციების დიზაინს, ფუნქციონირებასა და ინტეგრაციას. მოიცავს კომპიუტერულ მედია აპლიკაციებსაც”.

2. მიზანი:

ინფორმაციის ტექნოლოგიის
მხარდაჭერის პროფესიული პროგრამის
მიზანია, უზრუნველყოფს ინფორმაციის
ტექნოლოგიების სფეროსთვის
კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა;
პერსონალური კომპიუტერის
აპარატურული და პროგრამული
უზრუნველყოფის კვალიფიცირებული
სპეციალისტის მომზადება, რომელიც
ფლობს აპარატურული
უზრუნველყოფისა და ოპერაციული
სისტემების დაყენების, განახლების,
დაზიანებების აღმოფხვრის, ოპტიმიზაციის, დიაგნოსტირებისა და მომსახურებისათვის
საჭირო სპეციალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი
ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა,
აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.



3. დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

- ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერის საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტად წებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციული ტექნოლოგიები.
- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 62.09.0; 95.11; 95.11.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 3512

5. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის ოდენობით. 3 პროფესიულ მოდულს ჯამური 13 კრედიტის ოდენობით. 5 საერთო პროფესიულ მოდულს 31 ჯამური კრედიტის რაოდენობით. ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 60 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 42 კვირა.
- მოდულის, ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 28 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ამ შემთხვევაში ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 75 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 53 კვირა.

ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა		
№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	მეწარმეობა 1	2
5	სამოქალაქო განათლება	2
6	უცხოური ენა	4
ჯამი:		16

№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების აპარატურული უზრუნველყოფა	7
2	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	6
3	კომპიუტერული ქსელის ორგანიზებისა და გამოყენების პრინციპები	7
4	კომპიუტერის და პერიფერიული მოწყობილობების უსაფრთხოება და პრობლემების აღმოფხვრა	7
5	მობილური, Linux და OS X ოპერაციული სისტემები	4
ჯამი:		31
№	პროფესიული მოდულები	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	1
2	პრაქტიკული პროექტი - ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში	6
3	დარგობრივი ინგლისური ენა - IT Support	6
ჯამი:		13

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. ააწყოს და დააკომპლექტოს პერსონალური კომპიუტერი;
2. დაამონტაჟოს პერიფერიული მოწყობილობები;
3. დააინსტალიროს და გამართოს ოპერაციული სისტემი;
4. დააინსტალიროს გამოყენებითი პროგრამული უზრუნველყოფა;
5. უზრუნველყოს ოპერაციული სისტემის უსაფრთხოება;
6. განასხვავოს ქსელების ფუნდამენტური პრინციპები და ტიპები;
7. გარჩიოს ქსელში ინფორმაციის მიმოცვლის მოდელების (TCP/IP,OSI) შრეები და ამ შრეებზე მომუშავე პორტები და ოქმი;
8. გამართოს მარტივი სადენიანი და უსადენო შიდა ქსელი;
9. შეაფასოს აპარატურული და პროგრამული რისკები და განსაზღვროს პრევენციული ზომები;
10. მოახდინოს აპარატურული და პროგრამული პრობლემის იდენტიფიცირება და აღმოფხვრას გაუმართაობა.



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

საოფისე საქმე

(განხორციელების ფორმა - მოდულური)

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს „სამდივნო და საოფისე საქმის“, კოდი 0415. „შეისწავლის ადმინისტრაციულ პროცედურებსა და პრაქტიკას, საოფისე ტექნოლოგიებს, საკანცელარიო საქმეს, სტენოგრაფიასა და ბეჭდვის უნარებს. ასევე მოიცავს სპეციალიზირებულ საოფისე/სამდივნო პროგრამებს (ბილინგვური, სამედიცინო, იურიდიული, საბუღალტრო და ა.შ.), თუ მათი მიზანია საოფისე საქმე და არა სპეციალიზაციით მომუშავე თანამშემწის მომზადება.

2. მიზანი

საოფისე საქმის პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს ისეთი კვალიფიციურ ადმინისტრაციულ დამხმარე პერსონალის მოამზადება, რომელიც შეძლებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დაწესებულების აქტივობების დაგეგმვას, მართვასა და დაწესებულების დოკუმენტბრუნვას.

3. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება



4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

საოფისე საქმეში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო და კერძო დაწესებულებებში ოფისის მენეჯერად, ხელმძღვანელის თანამემწედ, მდივნად. დოკუმენტაციის წარმოებისა და გარკვეული ორგანიზაციული ქვედანაყოფების ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტად და დამხმარე მუშაკებად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი: 82, 82.1, 82.11.0, 82.19.0.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდი: 3341

5. სტრუქტურა და მოდულები:

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმე მოიცავს 5 ზოგად მოდულს - ჯამური 15 კრედიტის მოცულობით, ერთ საერთო პროფესიულ მოდულს 5 კრედიტის მოცულობით და საოფისე საქმის კვალიფიკაციის 14 პროფესიულ მოდულს 39 კრედიტის მოცულობით.

საოფისე საქმის საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ჯამურად **59 კრედიტი**, პროგრამის ხანგრძლივობა - 40 კვირა

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 28 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით, ამ შემთხვევაში საოფისე საქმის საშუალო პროფესიულ კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა უნდა დააგროვოს 89 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა - 61 კვირა.

საოფისე საქმე		
ზოგადი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
3	რაოდენობრივი წიგნიერება	2
4	უცხოური ენა	5
5	მეწარმეობა 2	2
სულ:		15
საერთო პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	წერილობით ტექსტთან მუშაობა	5
სულ:		5
პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე	1
2	დოკუმენტების რეკვიზიტებისა და ბლანკების გაფორმება	2,5
3	კორესპონდენციის ორგანიზება	2,5
4	საინფორმაციო-საცნობარო დოკუმენტების წარმოება	2,5
5	ნორმატიული აქტების გამოყენება	2
6	მმართველობითი დოკუმენტების მომზადება	3

7	დოკუმენტების არქივისთვის გადასაცემად მომზადება	5
8	ადმინისტრაციული ასისტირება	5
9	საორგანიზაციო დოკუმენტების პროექტების მომზადება	1,5
10	საოფისე შეხვედრებისა და ღონისძიებების დაგეგმვა	2
11	საფინანსო დოკუმენტებთან მუშაობა	1
12	საოფისე და სამეურნეო მარაგების მართვა	3
13	მენეჯმენტის ზოგადი კონცეფციები და საკადრო დოკუმენტაციის წარმოება	4
14	საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე	4
სულ:		39

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. დაგეგმოს შეხვედრები და მივლინებები
2. მონაწილეობა მიიღოს ბიუჯეტის დაგეგმვაში
3. აწარმოოს მიმოწერა სხვადასხვა საკითხებზე
4. მოამზადოს დოკუმენტების პროექტები
5. მართოს ორგანიზაციის დოკუმენტბრუნვა
6. კოორდინირება გაუწიოს ორგანიზაციული ქვედანაყოფების საქმიანობას
7. უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა ორგანიზაციის სხვადასხვა ქვეგანყოფილებას შორის.



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სასტუმრო მომსახურება

(განხორციელების ფორმა - მოდულური)

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ქართულ და ინგლისურ ენაზე

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია
სასტუმრო მომსახურებაში / Secondary
Vocational Qualification in Hotel Service

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

2. მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის სასტუმრო მომსახურების სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ყველა ტიპის სასტუმროებში მუშაობას.

3. დაშვების წინაპირობა :

სრული ზოგადი განათლება;

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

სასტუმროს მომსახურების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს სასტუმროებსა და განთავსების მსგავს ორგანიზაციებში (რესტორნებით და რესტორნების გარეშე) შემდეგ პოზიციაზე: სასტუმროს მიმღების ოპერატორები, ოფისების, სასტუმროებისა და სხვა დაწესებულებების დასუფთავება-დალაგების მეთვალყურეები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 55; 55.1; 55.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 4224; 5151.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

5. სტრუქტურა და მოდულები

- საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასტუმროს მომსახურებაში მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 8 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 54 კრედიტის ოდენობით. საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 56 კვირა.

- პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.
- მოდულების, „ქართული ენა A2“ და „ქართული ენა B1“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 28 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. ამ შემთხვევაში - საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისათვის სასტუმრო მომსახურებაში პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 110 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობა 77 კვირა.
- 1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 80 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 56 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 110 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 77 კვირა

სასტუმრო მომსახურება		
№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა (ინგლისური ენა)	5
ჯამი:		8

№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
ჯამი:		18
№	პროფესიული მოდულები - სასტუმრო მომსახურება	კრედიტი
1.	პრობლემური სიტუაციების მართვა სასტუმროში	3
2.	ინგლისური ენა ტურიზმის მომსახურების სფეროსათვის	5
3.	სასტუმროს ადმინისტრაციული პროცესების უზრუნველყოფა	4
4.	სასტუმროს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურების უზრუნველყოფა, ცვლის მოვალეობები და აუდიტი	8
5.	სასტუმროს კვებისა და სასმელების მომსახურების უზრუნველყოფა	5
6.	სასტუმროს უსაფრთხოების უზრუნველყოფა	3
7.	მარტივი მარკეტინგული საქმიანობა სასტუმროში	5
8.	სასტუმროს შესყიდვებისა და მარაგების უზრუნველყოფა	5
9.	მეორე უცხოური ენა სასტუმრო მომსახურებისთვის	5
10.	სასტუმროს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	5
11.	პრაქტიკული პროექტი - სასტუმრო მომსახურება	6
ჯამში		54

6. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:

სასტუმრო მომსახურებაში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. განახორციელოს დაჯავშნისა და მიღება-განთავსების პროცედურა
2. უზრუნველყოს დასუფთავების მომსახურება
3. შეასრულოს სასტუმროს შიდა, მარტივი მარკეტინგული საქმიანობა
4. უზრუნველყოს სასტუმროს უსაფრთხოების წესების დანერგვა
5. სასტუმროში მართოს პრობლემური სიტუაციები
6. აკონტროლოს ცვლების მონაცვლეობა
7. უზრუნველყოს სასტუმროს ძირითადი და დამატებითი მომსახურებების მიწოდება.



საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

კულინარიის ხელოვნება

(განხორციელების ფორმა - მოდულური)

1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში / Basic Vocational Qualification in Cooking

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების

საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - სასტუმრო, რესტორანი და კვება - კოდი 1013. აღმწერი - „შეისწავლის საკვების, სასმელის, დაბინავების და სხვა დაკავშირებულ მომსახურებებს სასტუმროსა და რესტორანში“.

2. მიზანი

პროგრამის მიზანია, მოამზადოს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, საკვები პროდუქტების კულინარიის სპეციალისტი, რომელიც შეძლებს სასტუმროსა და რესტორნის სამზარეულოში მუშაობას კვების ჰიგიენის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და სურსათის უვნებლობის წესების დაცვით.

3. დაშვების წინაპირობები

საბაზო განათლება

4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

კულინარიის ხელოვნების საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერი ტიპის სასტუმროში, რესტორანსა და სხვა კვებისა და შინა მეურნეობებში, ობიექტებში, სადაც გეგმავენ, ორგანიზებას უკეთებენ და ამზადებენ საკვებს შემდეგ პოზიციებზე: სასურსათო კვების მომსახურების პუნქტების მომსახურე პერსონალი, მზარეულები, სამზარეულოში დამხმარეები.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 56; 56.1; 56.10.
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 5246; 5129; 9412.

კურსდამთავრებულს შეუძლია საკუთარი ბიზნესის წარმოება - თვითდასაქმება.

5. სტრუქტურა და მოდულები

- საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნება მოიცავს 2 ზოგად მოდულს ჯამური 7 კრედიტის ოდენობით, 7 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 18 კრედიტის ოდენობით, 11 პროფესიულ მოდულს ჯამური 55 კრედიტის ოდენობით. საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებისთვის პირმა უნდა დააგროვოს 80 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 59 კვირა.

პროგრამა ითვალისწინებს „გაცნობითი პრაქტიკისა“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულებს. „გაცნობითი პრაქტიკის“ მიზანია, პროფესიულ სტუდენტს სწავლების დასაწყისში შეუქმნას წარმოდგენა შესაბამისი სფეროს, დასაქმების შესაძლებლობების, ორგანიზაციული მოწყობისა და პოზიციების, შრომითი ურთიერთობების შესახებ. პრაქტიკული პროექტი განსაზღვრავს ინტეგრირებული დავალების ტიპს, რომლის შესრულებისას პროფესიული სტუდენტი სპეციალიზაციისთვის საჭირო უნარებს დაადასტურებს.

მოდულის „ქართული ენა A2“ გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პირობების“ 28 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით. ამ შემთხვევაში - საბაზო პროფესიული კვალიფიკიის მინიჭებისათვის კულინარიის ხელოვნებაში პირმა უნდა დააგროვოს ჯამურად 95 კრედიტი, პროგრამის ხანგრძლივობა 70 კვირა.

1 კრედიტი უდრის 25 ასტრონომიულ საათს.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 80 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 59 კვირა
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 95 კრედიტი
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 70 კვირა

კულინარიის ხელოვნება		
№	ზოგადი მოდულები	კრედიტი
1.	ინფორმაციული წიგნიერება 1	3
2.	უცხოური ენა	4
	ჯამი:	7
№	საერთო პროფესიული მოდულები	კრედიტი
1.	გაცნობითი პრაქტიკა - სასტუმრო, რესტორანი და კვება	2
2.	ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის შესავალი	4
3.	პირველადი გადაუდებელი დახმარება	2
4.	ჰიგიენა და სანიტარული ნორმები	2
5.	სასტუმროსა და რესტორნის-სამზარეულოს დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა	4
6.	კომუნიკაცია სერვისის სფეროსთვის	2
7.	გარემოსდაცვითი საფუძვლები	2
	ჯამი:	18
№	პროფესიული მოდულები - კულინარიის ხელოვნება	კრედიტი
1.	საკვები პროდუქტების ტექნოლოგია	4
2.	კულინარული ხელოვნების ისტორია	2
3.	მარაგების კონტროლი	2
4.	კერძების მომზადების ტექნოლოგია	7
5.	ქართული სამზარეულოს ძირითადი კერძების მომზადება	9
6.	ქართული სამზარეულოს საუზმეული	5
7.	საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული კერძების მომზადება	9
8.	კულინარული მინი ნაწარმის მომზადება	3
9.	სამზარეულოს ფუნქციონირება/სამზარეულოს ტექნოლოგიები (კულინარიის ხელოვნებისათვის)	4

